შ.პ.ს. „პოულტრი ჯორჯია"

Poultry Georgia LTD

175 01.03.2023

სს„ ლილოს1-ის" (ს/კ 206268741)

დირექტორს-დავით ბეგიაშვილს

შ.პ.ს „პოულტრი ჯორჯიას'(ს/კ 226530448)

თანხმობა

თქვენი 06.07.23- ოს წერილის [1] პასუხად გაცნობებთ, რომ შ.პ.ს „პოულტრი ჯორჯიას'(ს/კ 226530448) თანხმობას აცხადებს „ ლილოს1" -მა მიიღოს მშენებლობის ნებართვა შემდეგ მისამაერთზე: ქალაქი თბილისი , იუმაშევის ქუჩა #14 (ნაკვ 06/004), (ს/კ 01.19.26.006.010) ახალი სასაწყობო შენობის ასაშენებლად ასევე შ.პ.ს „პოულტრი ჯორჯიას'(ს/კ 226530448) ეთანხმება სს „ლილო1"-ის მიერ წარმოდგენილ გენ გენ.გმას[2]

გენერალური დირექტორი ზურაბ ჭუჭულაშვილი

1 სს „ლილო1"-ს წერილი

2. იუმაშევის ქუჩა 14-ში მდებარე ნაკვეთების დამოწმებული (ნაკვ 06/004), (ს/კ01.19.26.006.010) გენ. გეგმა

საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში, ლილოს დასახლება, მეფრინველეთა ქ. №1, ტელ: +99532 2 24 46 64; 43 39; ტელ/ფაქსი: +995 2 32 24 46 67;
№1 MEPRINVELE STR, LILO SETTLEMENT, TBILISI, GEORGIA; tel: +99532 2 24 46 64; 43 35 39 tel/fax +995 2 32 24 46 67;



№ 0623-0821072 D 20.07.2023

სს „ლილო 1“
მისამართი: იუმაშევის ქუჩა N14
ტელეფონი: 577 10 20 32

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN23-0816106, დათარიღებული 07/07/2023წ.) იუმაშევის ქუჩა N14-ში (ს/კ 01.19.26.006.010) საწყობის მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის“ წარმომადგენელს:
ისანი-სამგორის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი ლევან ქურდიანი. ტელ: 591 05 15 25.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)



საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0714/277/23

14/07/2023

სს ,,ლილო 1"-ს დირექტორ

ბ-ნ დავით ბეგიაშვილს

11.07.2023 #0711/716/23 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.19.26.006.010) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს ,,თელასის" გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01231912993**
თარიღი: **10/07/2023**

მისამართი: ადრესატი: სს ლილო 1
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206268741
საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, იუმაშევის ქ. №14

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში შემოვიდა თქვენი №10/01231882677-01 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული №01.00.264 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის პოზიციის დაფიქსირებას №01.19.26.006.010 საკადასტრო ერთეულზე განსახორციელებელი სამუშაოების (შესათანხმებელი პროექტის) შესახებ.

გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული საკითხის განსახილველად, განცხადება შესაბამისი ელექტრონული ფორმით წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოში (ოფიციალური საიტი: http://iauction.ge, სერვისი – ქონების განკარგვა, მომსახურება - ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა). ელექტრონულ განცხადებას უნდა დაერთოს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება და სამსახურში წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, ასევე - შპს ,,თბილსერვის ჯგუფის" (ს/კ: 206267494; მის. ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №67) წერილობითი პოზიცია.

აღვნიშნავთ, რომ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ელექტრონული ფორმით, განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს მასში დასმული საკითხის განხილვას.

ქეთევან მშვიდობაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-ადმინისტრაციული სამსახური-სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქუჩა ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ბიორგი ზაქაშვილი

თარიღი: 7/14/2023

====== მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია

მაგთიკომის საჰაერო კომუნიკაცია

სილქნეტი
SILKNET

№ 3697/24-8 "14" 07 2023

სს „ლილო 1"-ის დირექტორს
ბატონ დავით ბეგიაშვილს
ქ. თბილისი, იუმაშევის #14
ტელ: 2243000

ბატონო დავით,

თქვენგან შემოსული წერილის (#14123-4/s 06.07.2023წ) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, იუმაშევის ქ. #14-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.19.26.006.010 არსებულ შენობებში შედის კაბელები, რომელზეც ჩართულია აბონენტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად საპროექტო შენობა და სს „სილქნეტის" კაბელები არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სასაწყობო შენობის აშენება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საპროექტო შენობის ადგილის გათვალისწინებით და ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით:

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის" კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის" წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

შპს "მაგთიკომი"
№ ED-23/07/17-019
17-07-2023 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

სს ,,ლილო 1''-ის დირექტორს
ბატონ დავით ბეგიაშვილს

ბატონო დავით,

თქვენი 2023 წლის 6 ივლისის N14223-4S წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ (ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. 14, ს/კ 01.19.26.006.010) გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი''-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 577 208586: 599 172727.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.

შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge
Classification: MAGTICOM Confidential

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0123201259**
თარიღი: **20/07/2023**

ადრესატი: სს ლილო 1
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206268741
მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, იუმაშევის ჭუჭა, N 14

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი: 01.19.26.006.010) საზღვრის სიახლოვეს განთავსებულია გარე განათების მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი , აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ უზრუნველყოფილი იქნება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დაცული იქნება დაცვის ზონები შენობა/ ნაგებობასა და ელ.სადენს შორის (დასაშვები მანძილი შენობა/ ნაგებობების, ხაზობრივ ნაგებობასთან მიმართებაში უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა), ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გარე განათების ქსელის გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფთან" და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან.
შეთანხმებული გენ გეგმა იხ.დანართის სახით.

დანართი: 1 ფურცელი.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



შეთანხმებულია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
სამუშაოების დაწყების წინ დაუკავშირდით
ჩვენს წარმომადგენელს
ტელ: 595307675
19 07 2023 წ.

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-33347-23 , 02-13-33407-23
02 / 06 / 2023

სს „ლილო 1“-ის დირექტორს
დავით ბეგიაშვილს

ბატონო დავით,

თქვენი მიმდინარე წლის 18 მაისის №02-13-33347-23 და №02-13-33407-23 განცხადებების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, იუმაშევის ქუჩა №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.26.006.010) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან და გენგეგმის დამოწმებასთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ შპს „თბილისი ენერჯი“-ში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე გადის კომპანიის კუთვნილი დროებით უმოქმედო მიწისქვეშა D=500 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენი, ხოლო სიახლოვეს ფიქსირდება საჰაერო D=50 მმ-იანი ასევე საშუალო წნევის მილსადენი (იხ. დანართი). შპს „თბილისი ენერჯი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები თქვენი მხრიდან შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- საჰაერო D=50 მმ-იანი საშუალო წნევის მილსადენთან მიმართებაში აუცილებელია დაცული იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ შეიზღუდოს ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების

რაც შეეხება მიწისქვეშა **D=500 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენს, სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს მილსადენთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება. მიწის სამუშაოების ჩატარების პროცესში მილსადენის ღერძის გამოჩენისას უნდა აცნობოთ შპს „თბილისი ენერჯი“-ს, რათა კომპანიამ მოახდინოს აღნიშნული მილის უსაფრთხო დემონტაჟი.

დამატებით გაცნობებთ, რომ დასამოწმებლად უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის ელექტრონული გენ. გეგმა დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, ასევე კომპანიის გაზსადენი უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:3,700
D= 500
D= 160 PE
D= 200
D= 500
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.10.002.125
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

497500.000000
498000.000000
4614500.000000

lilo-2

35-110-კვ. სად.
35-110-კვ. სად.
6-10-კვ. სად.
6-10-კვ. სად.
0.4-კვ. სად.
0.4-კვ. სად.
0.4-კვ. სად.
0.4-კვ. სად.

1:2,082
N

№ 0623-0796954 D 25.05.2023

სს "ლილო 1"
ელ-ფოსტა: gvaramashvili@lilo1.com
ტელეფონი: 577 10 20 32

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN23-0792949, დათარიღებული 18/05/2023წ. იუმაშევის ქ. N14-ში (ნაკვ.06/004, ს/კ 01.19.26.006.010) საწყობის მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება ,,კომპანიის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენის D=300 მმ-იანი ქსელი. მიმდებარედ გაედინება ორი D=300 მმ-იანი, წყალარინების D=400 მმ-იანი და D=500 მმ-იანი ქსელები (იხ. დანართი), რომელთა მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-წყალარინების მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-წყალარინების ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-წყალარინების ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის

ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელების შემთხვევაში, 3 მეტრ მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

წყალსადენ-წყალარინების ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით „კომპანია" გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

რაც შეეხება გენ. გეგმის შეთანხმებას, საჭიროა ,,კომპანიაში" წარმოადგინოთ გენ. გეგმა, სადაც განსაზღრული იქნება დაშორება საპროექტო ობიექტიდან წყალსადენ-წყალარინების ქსელებამდე.

დანართი: სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი

IN23-0792949



მაშტაბი : 1:7,500

0 55 110 220 330 440 მეტრი

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

მიწისქვეშა კომუნიკაციები

- გვირაბი
- წყალმომარაგების მილი
- წყალარინების მილი

5/19/2023

ნ. ირემაშვილი
GIS-ის სამსახური
"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

15293/109-42
19.05.2023

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

სს „თიბისი ბანკი“ (ს/კ 204854595) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.26.006.010 და მასზე განლაგებული შენობა ნაგებობები (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრეები: შპს ლილო 1 (ს/ნ 2:206268741),) დაზუსტებული ფართობი: 218461.00კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 14 (ნაკვ.06/004) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2023 წლის 11 მაისს № AR1956661 განცხადების შესაბამისად გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**) შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება, არ მოხდება იპოთეკის საგნის შემცირება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

სს „თიბისი ბანკი“-ს წარმომადგენელი:

გიორგი დარჩიაშვილი (პირადი ნომერი **01030028709**)

მარჯანიშვილის ქ #7
0102 თბილისი, საქართველო

7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

ს6 202052580

N: 0519/747/23

19/05/2023

სს "ლილო 1-ის" დირექტორს დავით ბეგიაშვილს

ბატონ დავით,

თქვენი მიმდინარე წლის 18 მაისის #0518/441/23 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე მითითებულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გადის სს "თელასის" კუთვნილი კაბელები.

35-110კვ. (საჰაერო): LL-LI (სამგორი 2), LL-LO (სამგორი 3).

6-10კვ. (მიწისქვეშა): LL f.1-T76.

(წარმოგიდგენთ აღნიშნული ქსელის გამომსახველ სქემატურ ნახაზს, PDF და SHP ფაილების სახით) და დაურეგისტრირებელი 0.4კვ საკაბელო ტრასები. მითითებულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, სს „თელასის“ მხრიდან წარმომადგენლების გამოყოფისთვის, უნდა დაუკავშირდეთ სს „თელასის“ გამანაწილებელი ქსელის სამსახურის უფროსის მოადგილეს ბატონ ვლადიმერ სისაურს (ტელეფონი: 599 539813) და სს „თელასის“ კომუნიკაციების დაზიანების პრევენციის მიზნით, წარმოადგინოთ შეთანხმებული სამუშაო პროექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოების მწარმოებელი სამუშაოების შესასრულებლად არ დაიშვება.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366-ე დადგენილებით დამტკიცებული "ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა"- ქვეპუნქტით, ხაზის (ბოძის) გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით. ელ. გადამცემი ხაზის (ბოძის) მფლობელის პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად, ხოლო სამუშაოების დაწყების თარიღი და დრო უნდა შეთანხმდეს სს"თელასთან".

დამატებით გაცნობებთ, რომ სამუშაოების შესრულება შეიძლება განხორციელდეს სს „თელასთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ან შესაბამისი გამოცდილების მქონე გარე ორგანიზაციის მიერ. გარე ორგანიზაციის შერჩევის შემთხვევაში, ორგანიზაციის გამოცდილების და შესაბამისი სამუშაოების წარმოებაზე ლიცენზიის არსებობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ წარმოდგენილი უნდა იქნას სს „თელასში“ შესათანხმებლად, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას პერსონალის სია ვინც აწარმოებს სამუშაოს შესაბამისი უსაფრთხოების ჯგუფის დამადასტურებელი დოკუმენტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დაშვება ქსელში ვერ მოხერხდება.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მ.შ ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

ვ. სისაური

ტელ:2-77-99-99-1-7881

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ OC234127 17 05 2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.26.006.010 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: სს "ლილო 1", ს/ნ 206268741) მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა იუმაშევი, N 14 (ნაკვ.06/004)) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR1956661 განაცხადის შესაბამისად მოხდეს პროექტის შეთანხმება და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**). ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ნიკოლოზ მითაიშვილი

კორპორატიული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი